

მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმი, როგორც პოლიტიკური პროტესტისა და დისიდენტობის რეპრეზენტაციის სივრცე

აბსტრაქტი

პოსტ-საბჭოთა სივრცეში დისიდენტობის მეხსიერების ინსტიტუციონალიზაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ პროცესს, რომლის ფარგლებშიც მუზეუმები გარდაიქმნება არა მხოლოდ ისტორიული არქივების შემნახველად, არამედ აქტიურ ინსტიტუციებად, რომლებიც აწარმოებენ, ახლებურად ამე-ნებენ და გადაიაზრებენ საზოგადოებრივ მეხსიერებას. წარმოდგე-ნილი კვლევის მიზანია გაანალიზოს მერაბ კოსტავას სახლ-მუ-ზეუმი როგორც სივრცე, სადაც დისიდენტობა წარმოჩენილია ვი-ზუალური, ნარატიული და სიმბოლური საშუალებებით. ამასთან, ინდივიდუალური ბიოგრაფია გარდაიქმნება ინსტიტუციურ, პო-ლიტიზებულ და კოლექტიურ ნარატივად.

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პოლარიზაციის, პროტეს-ტის ციკლებისა და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი საზოგადო-ების უნდობლობის ფონზე, დისიდენტური ფიგურების მუზეუმე-რი რეპრეზენტაცია განსაკუთრებით აქტუალური ხდება. თანამედ-როვე საქართველოში მეხსიერების პოლიტიკა და საბჭოთა წარსუ-ლის ინტერპრეტაციაზე მიმდინარე დებატები ქმნის ინტელექტუ-ალურ და კულტურულ გარემოს, სადაც მუზეუმებს შეგვიძლია მი-ვანიჭოთ ნარატივების მწარმოებლის და პოლიტიკური მნიშვნელო-ბის განსაზღვრის ინსტიტუციური როლი. სწორედ ასეთ კონტექ-სტში არის მნიშვნელოვანი მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის ანალი-

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, მკვლევარი.

ზი, რომელიც არა მხოლოდ პიროვნების ისტორიას აღწერს, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ დისიდენტობისა და პროტესტის პოლიტიკურ მოდელირებას წარმოადგენს.

კვლევა ეყრდნობა სამ თეორიულ ბლოკს. ერთი მხრივ, პროტესტის პოლიტიკის თეორიები (Tilly, 2006; Tarrow, 2011) საშუალებას იძლევა დისიდენტობა განვიხილოთ როგორც კოლექტიური და ინდივიდუალური წინააღმდეგობის პრაქტიკა, რომელიც სახელმწიფო რეპრესიული რეჟიმის პირობებში კონკრეტულ მოქმედების ფორმას იძენს. ამასთან, აქცენტი კეთდება დისიდენტობის კვლევებზე ჰიბრიდულ რეჟიმებში (Robertson, 2011; Ekiert & Kubik, 1999) რომელიც განმარტავს, თუ როგორ ხდება დევნის, სიხისტისა და სახელმწიფო ძალადობის გამოცდილებების ტრანსფორმაცია სამუზეუმო ნარატივად. ყურადღება მახვილდება მემორიალიზაციისა და მუზეუმური ნარატივების თეორიებზეც. (Macdonald, 2013; Hooper-Greenhill, 2000; Kirshenblatt-Gimblett, 1998) ამ შემთხვევაში, მუზეუმს განიხილავენ როგორც აქტიურ ინტერპრეტატორს, რომელიც ინახავს ექსპონატებს, ქმნის სიმბოლურ არქიტექტურას და მკაფიოს ხდის ისტორიულ ცოდნას.

კვლევის ამოცანებია:

- როგორ წარმოაჩენს მუზეუმი კოსტავას დისიდენტურ იდენტობას;

- როგორ განისაზღვრება კოსტავა როგორც ინდივიდუალური აქტორი და როგორც კოლექტიური წინააღმდეგობის ნაწილი;

- რა როლს ასრულებენ არტეფაქტები (ფოტოები, პირადი ნივთები, ხელნაწერები, არალეგალური სტამბის მასალა, ციხის საკნის რეკონსტრუქცია) დისიდენტობის ნარატივში;

- რა დისკურსით არის აღწერილი საბჭოთა სისტემა და სახელმწიფოს რეპრესიული პრაქტიკები.

ნაშრომი თვისებრივი კვლევის მეთოდებითაა შესრულებული. პროცესში გამოყენებულია დისკურსული ანალიზი, ვიზუ-

ალური გაგების ჩარჩო (visual framing) და სიმბოლური ანთროპოლოგიის მიდგომები. მუზეუმის სივრცე ზედაპირზე გამოჰყავს არა მხოლოდ კოსტავას ბიოგრაფიული დეტალები, არამედ პოლიტიკური უნივერსალური თემები: სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები, რეპრესიის ფსიქოლოგიური ეფექტები, მოქალაქეობრივი წინააღმდეგობის ფორმები და კოლექტიური მოქმედების მნიშვნელობა.

მუზეუმის ექსპოზიციების, არქივის და გიდის ნარატივების ანალიზმა გამოავლინა, რომ მერაბ კოსტავას დისიდენტური იდენტობა მუზეუმში კონსტრუირდება არა როგორც მონოლითური „გმირის ფიგურა“, არამედ როგორც მრავალშრიანი და თანმიმდევრული პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც მის ახალგაზრდულ წლებსა და კოლექტიურ წინააღმდეგობის ფორმებს უკავშირდება. ექსპონატების მიხედვით ნათლად იკითხება, რომ კოსტავას დისიდენტური მისწრაფებები სკოლის ასაკიდან იწყება - განსაკუთრებით თვალსაჩინოა ახალგაზრდული ჯგუფი „გორგასლიანი“, რომლის ჩანაწერები და ფოტოები აჩვენებს, რომ მისი პოლიტიკური სოციალიზაცია და კრიტიკული პოზიციონირება საბჭოთა რეჟიმის მიმართ ჯერ კიდევ ადრეული ახალგაზრდობიდან ვითარდებოდა (საქართველოს ეროვნული ენციკლოპედია, 2025). ეს ჯგუფი მუზეუმში არ არის წარმოდგენილი როგორც კოსტავასადმი სრული პერსონალური მიზმა; პირიქით, ნარატივი ხაზს უსვამს მის ჰორიზონტალურ და კოლექტიურ ბუნებას, რაც განსაკუთრებით შეესაბამება თანამედროვე სოციალური მოძრაობების თეორიულ მოდელებს, სადაც ლიდერობა ხშირად განაწილებულია (Tilly, 2006; Tarrow, 2011).

მუზეუმის ნარატივში კოსტავა არ არის აბსოლუტური „ერთპიროვნული გმირი“ - მისი ფიგურა წარმოაჩენს ლიდერობის ისეთ ფორმას, რომელიც მიღწევების კოლექტიურობას არ ჩრდილავს. ეს მნიშვნელოვანი აღმოჩენაა პოსტ-საბჭოთა პერსონალურ მუზეუმებში გავრცელებული ტენდენციის ფონზე, სადაც ხშირად ერთ ინ-

დივიდზე ზედმეტი აქცენტის გაკეთება ხდებოდა (Macdonald, 2013). აქ კი პირიქით - მუზეუმი ერთდროულად აჩვენებს მის განსაკუთრებულ როლს და მის მიერ გაწეულ საქმიანობას სხვა აქტორებთან თანაბარი მნიშვნელობის სივრცეში ათავსებს.

არტეფაქტების ანალიზმა ცხადყო, რომ მუზეუმი დისიდენტობის ნარატივს ღირებულებითი და სიმბოლური კონტექსტით ავსებს. კოსტავას კაბინეტში სრულიად დაუფარავად გამოფენილი ბიბლია, ხატები და რელიგიური მასალები - საბჭოთა გარემოში მკაცრად კონტროლირებადი კატეგორია - წარმოადგენენ დისიდენტობის რელიგიურ-კულტურულ შემადგენელს, რომელიც წინააღმდეგობის ფორმას აძლიერებს. ამავე დროს, ექსპოზიციის მნიშვნელოვანი განყოფილებაა ილია ჭავჭავაძის მიმართ კოსტავას პატივისცემის არტეფაქტები: მისი გამოსახულებით გრავიურა, ხელნაწერები და სხვა მასალები ქმნის მკაფიო ვიზუალურ ჩარჩოს (Hooper-Greenhill, 2000), რომელიც კოსტავას ღირებულებებს მის ინტელექტუალურ და ეროვნულ კონტექსტში ათავსებს. აქ ილია წარმოდგენილია არა როგორც სიმბოლური „ივერიის მამა“, არამედ როგორც იდეური საყრდენი, რომლის გავლენაც კოსტავას მსოფლმხედველობაზე ამკარად ჩანს.

საბჭოთა სისტემის რეპრესიული პოლიტიკის შესახებ მუზეუმის ნარატივი განსაკუთრებით ძლიერი ხდება მაშინ, როდესაც ის ეხება კოსტავას არაერთგზის გადასახლებას და მისთვის დაწესებულ ფსევდოსამედიცინო დიაგნოზს - „დუნედ მიმდინარე შიზოფრენია“. მუზეუმი ამ ფაქტს წარმოაჩენს როგორც საბჭოთა პათოლოგიზაციის სტრატეგიის ნაწილს, რომელიც დისიდენტების დელეგიტიმაციას ემსახურებოდა. აღნიშნული დიაგნოზი, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა 1960-80-იან წლებში „политически ненадежных лиц“-ებზე, ექსპოზიციაში დევს როგორც სისტემური ძალადობის მთავარი სიმბოლო. ამგვარად, მუზეუმი კოლექტიურ მეხსი-

ერებაში არა მხოლოდ პიროვნულ ტრაგედიას, არამედ რეპრესიის ინსტიტუციურ მექანიზმებს ამჟღავნებს.

საერთო ჯამში, მიგნებები აჩვენებს, რომ მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმი დისიდენტობის ნარატივს ქმნის მრავალხმოვანი და პოლიფონიური სტრუქტურით: აქ ერთდროულად ჩანს ადრეული ახალგაზრდული პროტესტი, კოლექტიური პოლიტიკური მოქმედება, კულტურულ-ეროვნული ღირებულებები და საბჭოთა ძალადობრივი პრაქტიკების გაშიფვრა. მუზეუმი ამგვარად ნამდვილად იქცევა ისეთ სივრცედ, სადაც ინდივიდუალური ბიოგრაფია გარდაიქმნება პოლიტიკურ მეხსიერებად, ხოლო დისიდენტობის ისტორია - პროტესტის პოლიტიკური კულტურის ნაწილად.

ეს ნაშრომი შესაძლოა გახდეს ინტერ-დისციპლინარულ განხილვის წინაპირობა, დისიდენტობის, პროტესტის პოლიტიკისა და მეხსიერების ინსტიტუციონალიზაციის შესახებ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში. ქმნის საფუძველს მომავალი კვლევებისთვის, რომლებიც შეეხება კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიზაციას, ისტორიული ნარატივების შექმნის პროცესებს და მუზეუმების როლს დემოკრატიულ საზოგადოებებში.

საკვანძო სიტყვები: მერაბ კოსტავა, დისიდენტობა, პროტესტის პოლიტიკა, მეხსიერების პოლიტიკა, visual framing, მუზეუმი, პოსტ-საბჭოთა საქართველო

ბიბლიოგრაფია:

Ekiert, G., & Kubik, J. (1999). *Rebellious civil society: Popular protest and democratic consolidation in Poland, 1989–1993*. University of Michigan Press. https://www.press.umich.edu/1999/rebellious_civil_society

Hooper-Greenhill, E. (2000). *Museums and the interpretation of visual culture*. Routledge. <https://www.routledge.com/Museums-and-the-Interpretation-of-Visual-Culture/Hooper-Greenhill/p/book/9780415201223>

Kirshenblatt-Gimblett, B. (1998). *Destination culture: Tourism, museums, and heritage*. University of California Press. <https://www.ucpress.edu/book/9780520205343/destination-culture>

Macdonald, S. (2013). *Memorylands: Heritage and identity in Europe today*. Routledge. <https://www.routledge.com/Memorylands-Heritage-and-Identity-in-Europe-Today/Macdonald/p/book/9780415509374>

Robertson, G. (2011). *The politics of protest in hybrid regimes*. Cambridge University Press. <https://www.cambridge.org/core/books/politics-of-protest-in-hybrid-regimes/>

Tarrow, S. (2011). *Power in movement: Social movements and contentious politics*. Cambridge University Press. <https://www.cambridge.org/core/books/power-in-movement/>

Tilly, C. (2006). *Regimes and repertoires*. University of Chicago Press. <https://press.uchicago.edu/ucp/books/book/chicago/R/bo3620890.html>

თბილისის მუზეუმების გაერთიანება. (2025). მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმი. <https://tbilisimuseumsunion.ge/muzeumebi/merab-kostavas-sakhl-muzeumi/>

საქართველოს ეროვნული ენციკლოპედია. (2025). გორგასლიანი. <https://georgianencyclopedia.ge/ka/form/753>

Mariam Saralidze

Merab Kostava House-Museum as a Space of Political Protest and Dissent Representation

Abstract

In the post-Soviet context, the institutionalization of dissident memory constitutes a significant political and cultural process in which museums become not only custodians of historical archives but active institutions that produce, reconstruct, and reinterpret public memory. This study examines the Merab Kostava House-Museum as a space where dissent is represented through visual, narrative, and symbolic formats, transforming an individual biography into an institutionalized, politicized, and collective narrative.

Against the backdrop of political polarization, recurring protest cycles, and widespread distrust of state institutions in contemporary

Georgia, the museum representation of dissident figures becomes increasingly relevant. Ongoing debates about the interpretation of the Soviet past and the politics of memory create an intellectual and cultural environment in which museums actively shape public narratives and contribute to the construction of political meaning. Within this framework, the Merab Kostava House-Museum serves not merely as a biographical site but as an institutionalized model for representing political protest and dissent.

The research draws on three theoretical blocks. First, theories of contentious politics (Tilly, 2006; Tarrow, 2011) enable an understanding of dissent as both an individual and collective practice that acquires specific repertoires under repressive state regimes. The study also engages with scholarship on dissent in hybrid regimes (Robertson, 2011; Ekiert & Kubik, 1999), which elucidates how experiences of repression, state violence, and coercion are transformed into museum narratives. Additionally, it relies on theories of memorialization and museum narratives (Macdonald, 2013; Hooper-Greenhill, 2000; Kirshenblatt-Gimblett, 1998), conceptualizing the museum as an active interpreter that preserves artifacts, builds symbolic architecture, and structures historical knowledge.

Research Questions

- How does the museum construct Kostava's dissident identity?
- How is Kostava represented both as an individual actor and as part of a broader collective resistance?
- What role do artifacts (photographs, personal belongings, manuscripts, illegal printing materials, prison-cell reconstruction) play in shaping the narrative of dissent?
- Through what discourse is the Soviet state and its repressive practices described?

This study employs qualitative research methods, including discourse analysis, visual framing, and symbolic-anthropological approaches. The museum space reveals not only biographical elements of

Kostava's life but also broader political themes: mechanisms of state control, psychological effects of repression, forms of civic resistance, and the significance of collective action.

Analysis of exhibitions, archival material, and guide narratives demonstrates that the museum constructs Kostava's dissident identity not as a monolithic "hero figure," but as a multilayered, evolving political position rooted in his youth and early collective resistance. The materials show that Kostava's dissident orientation began in his school years — most notably through the youth group *Gorgasliani*, whose documents and photographs reveal an early political socialization and critical stance toward the Soviet regime (Georgian National Encyclopedia, 2025). The museum refrains from portraying this group as an extension of Kostava's personal cult; instead, it highlights its horizontal structure, aligning with contemporary theories of distributed leadership within social movements (Tilly, 2006; Tarrow, 2011).

The representation avoids casting Kostava as an absolute, solitary leader. Instead, it positions him within a collective field of action, countering the dominant trend in post-Soviet personal museums that often overemphasizes individual heroization (Macdonald, 2013). Here, Kostava's leadership is shown as significant but not overshadowing the contributions of other actors.

Artifact analysis reveals that the museum embeds dissident identity within symbolic and value-based frameworks. The openly displayed Bible, icons, and religious materials in Kostava's study - items heavily controlled during the Soviet era - underscore the cultural and spiritual dimensions of his dissent. An essential section of the exhibition centers on materials related to Ilia Chavchavadze; engravings and manuscripts create a clear visual frame (Hooper-Greenhill, 2000), situating Kostava's worldview within national-intellectual traditions, highlighting Chavchavadze's formative influence on his ideological orientation.

The narrative of Soviet repression becomes particularly powerful in the sections addressing Kostava's multiple exiles and the pseudo-medical

diagnosis assigned to him - “sluggish schizophrenia.” The museum presents this diagnosis as part of a broader Soviet strategy of psychiatric repression used to delegitimize politically “unreliable” individuals. Its placement within the exhibition transforms it into a central symbol of systemic violence, revealing the institutional mechanisms of repression rather than merely personal tragedy.

Overall, the findings suggest that the Merab Kostava House-Museum constructs a multifaceted narrative of dissent: early youth protest, collective political action, cultural-national values, and the decoding of Soviet authoritarian practices. The museum thus becomes a space where personal biography is transformed into political memory, and the history of dissent is embedded within the broader culture of political protest.

This study contributes to interdisciplinary discussions on dissent, protest politics, and the institutionalization of memory in post-Soviet societies. It provides groundwork for future research on the politicization of cultural heritage, the construction of historical narratives, and the role of museums in democratic contexts.

Keywords: Merab Kostava, dissent, protest politics, memory politics, visual framing, museum studies, post-Soviet Georgia